# ხელშეკრულება № 257

ქ.ქუთაისი 14 დეკემბერი 2018 წელი

ერთი მხრივ **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანა ცუცქირიძის სახით და მეორე მხრივ **ი/მ „გიორგი ჭოხონელიძის“** (შემდგომში მიმწოდებელი) სახით გამართივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1.ხელშეკრულების საგანი**

**(cpv 19521200 - პოლისტირენის ფილები, cpv 24440000 - სხვადასხვა სასუქი)** (შემდგომში-საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

**2.ხელშეკრულების ღირებულება**

2.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **2150.00 (ორიათასასორმოცდაათი) ლარი**. დაფინანსების წყარო: **საკუთარი სახსრები.**

2.2 საქონლის ჩამონათვალი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას.

**3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგსდასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

**4.მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის №221 ბრძანებით შექმნილი კომისია (თამარ დვალი, ბერიკა უშვერიძე, რუსუდან ზაქარიაძე, რუსუდან ხაბულიანი).

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

**5.საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.ქუთაისი ნიკეას №12.

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებილი საქონლის ღირეულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსტხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

**7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირბების შეუსრულებლობისათვის**

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ველდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეათანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არ უნდა უარესდებოდეს ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს

სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადახედვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5 მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტისთ გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შემდეგ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

## 9.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

## 10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პირობებში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
|---|---|
| სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ | ი/მ „გიორგი ჭოხონელიძე“ |
| მის: ქ.ქუთაისი ნიკეას №12 | მის: ქ.ქუთაისი ანტ.კათალიკოსის №48 |
| საიდენტიფიკაციო კოდი:212682051 | საიდენტიფიკაციო კოდი: 60001125851 |
| სახელმწიფო ხაზინა | „საქართველოს ბანკი“ |
| ბანკის კოდი:TRESGE22 | ბანკის კოდი: BAGAGE22 |
| ხაზინის კოდი: 709137509 | ა/ნ: GE22BG0000000606089200 |
| ________________ | ________________ |
| ანა ... | გიორგი ჭოხონელიძე |

დანართი №1

| N | დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ფასი | ჯამი | CPV |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ორგანული სასუქი „ბიოჰუმუსი“ | კგ | 500 | 2.5 | 1250 | 24440000 |
| 2 | პილიეთილენის ფილა 12*30 | ცალი | 1 | 900 | 900 | 19521200 |
| | | | | | 2150 | |

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ივერია“

ი/მ „გიორგი ჭოხონელიძე

**ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ**

ქ. ქუთაისი 14 დეკემბერი 2018წელი

„სახემწიფო შესყიდვების შესახებ„ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ხელმოწერილით ვადასტურებთ, რომ ი/მ „გიორგი ჭოხონელიძის“ შესყიდვების განხორციელებაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირები:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /ა.ცუცქირიძე/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/